საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილება

თბილისი, 2025 წლის 1 ოქტომბერი №76/2-XIმპ

საკანონმდებლო პაკეტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 96-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 97-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 133-ე და 136-ე–138-ე მუხლების შესაბამისად

საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

საქართველოს პარლამენტში დაიწყოს საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საკანონმდებლო პაკეტისა და თანდართული მასალების (№155/2-XIმპ; 30.09.2025) განხილვა:

საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“, მისი თანამდევი საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, დოკუმენტი – „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2026-2029 წლებისათვის“ და საქართველოს მთავრობის მოხსენება საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ

დასახელება

საქართველოს მთავრობა	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
ინიციატორი	*ავტორი*
30.09.2025	საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი
პარლამენტისთვის წარდგენის თარიღი	*წამყვანი კომიტეტი*

„საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის და თანდართული მასალებისა – წამყვანი და სავალდებულო კომიტეტების სხდომებზე: საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი თანდართული განხილვის განრიგის შესაბამისად **„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტისა –** წამყვანი კომიტეტის სხდომაზე: 03.10.2025–05.11.2025 სავალდებულო კომიტეტების სხდომებზე: 03.10.2025–22.10.2025	ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი; განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი; დიასპორის კომიტეტი; ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი; ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი; თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტი; იურიდიულ საკითხთა კომიტეტი; კულტურის კომიტეტი; რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტი; საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი; საპროცედურო საკითხთა კომიტეტი; სოფლის მეურნეობის კომიტეტი; სპორტის კომიტეტი; ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი.
კომიტეტის სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი	*სავალდებულო კომიტეტი (კომიტეტები)*

„საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის და თანდართული მასალებისა – საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 136-ე–138-ე მუხლების შესაბამისად განსაზღვრული ვადები **„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტისა –** 15.10.2025–14.11.2025	
პლენარულ სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი	

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე

შალვა პაპუაშვილი